ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

მარიამ ბეინაშვილი

აგვისტოს ომის ხსოვნა ქართული პროტესტის რეპერტუარში

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2025 წელი

ანოტაცია

2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ საქართველოში დაიწყო მასობრივი საპროტესტო მოძრაობა. ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც დღემდე გრძელდება. ჩვენი კვლევის ფარგლებში შევისწავლით საპროტესტო ფორმებს 2024 წლის 28 ნოემბრიდან 30 აპრილამდე, ვინაიდან, ეს იყო პროტესტის აქტიური ფაზა. წინამდებარე კვლევის მიზანია პროტესტის იმ ფორმების შესწავლა, რომელთა მეშვეობითაც გააქტიურდა აგვისტოს ომის მეხსიერება. ამასთან, ნაშრომი განიხილავს მეხსიერების პოლიტიკისა და პროტესტის ფორმირების თეორიულ საფუძვლებს და აგვისტოს ომის მეხსიერების აქამდე არსებულ ინსტიტუციურ და არაინსტიტუციურ ფორმებს. კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ, თვისებრივ კონტენტ-ანალიზს, რომლითაც შესაძლებელი გახდა პროტესტის იმ ფორმების ანალიზი, რომელშიც გამოიხატებოდა აგვისტოს ომის ხსოვნა. ესენია: აქცია, მარში, ბანერები, სტენსილები და ონლაინ-კამპანიები. ამასთან, კვლევის ფარგლებში ჩატარდა საექსპერტო ინტერვიუ ოთხ ექსპერტთან. ნაშრომი ცდილობს გააანალიზოს პროტესტში აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურების ფორმები, ტენდენციები, მეხსიერების სელექციურობა და მისი პოლიტიკური განზომილებები.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I - კოლექტიური მეხსიერება და ომის მეხსიერების თეორიული ასპექტები 9

თავი II- 2008 წლის აგვისტოს ომი ქართველი ხალხის კოლექტიურ ხსოვნაში 14

2.1. აგვისტოს ომის ხსოვნის ისტორიული და სოციალური კონტექსტი 16

2.2. აგვისტოს ომის ხსოვნის ინსტიტუციური და არაინსტიტუციური ფორმები 17

თავი III- ომის ხსოვნის გამოყენების სტრატეგიები პროტესტში და მისი სოციალური მნიშვნელობა 25

3.1. ომის მეხსიერების გამოყენება პროტესტში (შემთხვევათა ანალიზი) 26

3.2. ომის ხსოვნის სელექციური გამოყენება და მისი პოლიტიკური განზომილებები 34

დასკვნა 36

ბიბლიოგრაფია 38

დანართი 1. კონტენტ-ანალიზის ჩარჩო 41

დანართი 2. სიღრმისეული ინტერვიუს კოდების სისტემა 42

დანართი 3. სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი ექსპერტებთან 43

შესავალი

საზოგადოებაში ომის დამახსოვრების მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტიურდება პოლიტიკური კრიზისებისა და კონფლიქტური ეპიზოდების დროს (West, 2016). სწორედ, პოლიტიკური კრიზისის ეპიზოდებმა და მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა გააქტიურა ქართულ საპროტესტო რეპერტუარში 2008 წლის აგვისტოს ომის ხსოვნა.

მოცემული **კვლევის აქტუალობას** განაპირობებს ის ფაქტი, რომ საქართველოში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების ფორმა და მასშტაბი განსხვავდება, თუმცა, აგვისტოს ომის მეხსიერება მუდმივად წითელ ხაზად გასდევს ამ პროტესტს. საკვლევად ავირჩიეთ 2024 წლის 28 ნოემრბიდან 2025 წლის 30 აპრილამდე პერიოდი, ვინაიდან, ის მოიცავს საპროტესტო გამოსვლების აქტიურ ფაზას. ამ პერიოდში ვხვდებით ისტორიული თემატიკის შემცველ ტრანსპარანტებს, აგვისტოს ომის თემატიკით ინსპირირებულ მარშებს და ამასთან, ომის ხსოვნა საპროტესტო გამოსვლების ტექსტებში ხშირად ფიგურირებს. საზოგადოდ, ომი, რომელიც ჯერ კიდევ კომიუნიკაციური მეხსიერების ფორმით არის ერში, ზეგავლენას ახდენს მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებზე. კომუნიკაციური მეხსიერება ფუნქციონირებს ყოველდღიურ მეტყველებაში, ოჯახურ საუბრებში ან პირადი მოგონების ფორმით. ის მოიცავს, დაახლოებით, სამ თაობას და დაკავშირებულია სუბიექტურ განცდებთან (Assman, 2008). საპროტესტო გამოსვლების მონაწილეთა უმრავლესობა თავად არის მომსწრე 2008 წლის ომის და შესაბამისად, საინტერესოა ვიკვლიოთ ის ფორმები, რომლითაც აქტიურდება აგვისტოს ომის მეხსიერება მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების დროს. როგორც მორის ჰალბვაქსი წერს, მეხსიერება მუდმივად რესკონსტრუირებადია არსებული რეალობის მიხედვით და ამასთან, მეხსიერების გააქტიურება ხდება სოციალური მოთხოვნების შესაბამისად (Halbwachs, 1992). ჩვენს რეალობაში, სწორედ, საპროტესტო გამოსვლები ქმნის აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურების სოციალურ მოთხოვნებს და საფუძველს. შესაბამისად, აქტუალური საკითხია ვიკვლიოთ, რა ფორმებით აქტიურდება ომის მეხსიერება პროტესტის რეპერტუარში, რადგან აგვისტოს ომი არ არის მხოლოდ ისტორიული მოვლენა, არამედ, ის არის კოლექტიური ტრავმა, რომელიც

აქტიურად გამოიყენება მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფორმირებისას. ხოლო, ის თუ რა ფორმით გამოიხატება ომის მეხსიერება მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესების განმავლობაში, გვიჩვენებს მეხსიერების სელექციურობის ტენდენციას.

კვლევის მიზანია შევისწავლოთ:

1. რა ფორმით ხდება 2008 წლის აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურება საპროტესტო რეპერტუარში;

2. რა ნარატივებით ფორმირდება ომის ხსოვნა მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა **კვლევის ამოცანები:**

1. პროტესტის რეპერტუარის გარშემო არსებული სამეცნიერო მიდგომების და თეორიების ანალიზი;
2. იმ თემატიკის შესწავლა, რომელთა ბმაც ხდება საპროტესტო რეპერტუართან;

საკვლევ ობიექტებს წარმოადგენენ:

1. პროტესტის რეპერტუარი, მათ შორის, ტრანსპარანტები, მარშები, ქუჩის მხატვრობები, ონლაინ-კამპანიები;
2. მედია ქრონიკები, სადაც წარმოდგენილი იყო საპროტესტო მარშების გეგმები;
3. 4 ექსპერტი (ორი ისტორიის მკვლევარი, პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი, მეხსიერების პოლიტიკის მკვლევარი), რომელთა პასუხებიც კვლევის შედეგების ვალიდაციაში დაგვეხმარა.

საკვლევი კითხვებია:

1. ომის მეხსიერების გააქტიურების რომელი ფორმები დომინირებს პროტესტის რეპერტუარის ფორმირების პროცესში?
2. რა ფაქტორები განაპირობებს ომის მეხსიერების გააქტიურებას საპროტესტო ფორმების რეპერტუარში?

კვლევის **დაშვებები** ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1- არსებობს მოლოდინი, რომ აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურება ქართულ საპროტესტო რეპერტუარში ფორმირდება მარშებით, ბანერებით, სტენსილებითა და საპროტესტო აქციებით;

2- აფხაზეთის ომის მეხსიერებისა და რუსეთის მტრის ხატად წარმოსახვის ტენდენცია ააქტიურებს აფხაზეთის ომის მეხსიერებას პროტესტის რეპერტუარში.

კვლევის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია მორის ჰალბვაქსის "კოლექტიური მეხსიერების" თეორია. ჰალბვაქსის მიხედვით, ომის დამახსოვრება სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ სხვადასხვანაირად ხდება. თუმცა ეროვნული იდენტობები, ხშირად ფორმირდება ომის მეხსიერების გარშემო . კვლევის ფარგლებში შესწავლილი პროტესტის განმავლობაში აგვისტოს ომის მეხსიერება, სწორედ, ეროვნული გრძნობების გაღვივების მიზნითა და მიზეზით გამოიყენება. ავტორის მიხედვით, კოლექტიური მეხსიერება თაობების განმავლობაში ინტერპრეტირდება, რომელსაც თან ახლავს ამ მეხსიერების გააქტიურება (Halbwachs, 1980). პროტესტის ფორმებში გამოყენებული ნარატივები ქუჩის მხატვრობასა თუ საპროტესტო ბანერებზე, სწორედ, აგვისტოს ომის დამახსოვრების მაგალითია. ასევე, პიერ ნორას "მეხსიერების ადგილები" აღწერს იმ ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეხსიერების გააქტიურებას. მეხსიერების ადგილებად შესაძლოა განვიხილოთ მემორიალები, ღონისძიებები, ძეგლები, დღესასწაულები ანუ ყველაფერი ის, სადაც მეხსიერება „ინახება" (Norra, 1989), მათ შორის, არამატერიალური ფორმით. კვლევის ფარგლებში, ჩვენ ვიკვლევთ აგვისტოს ომის „მეხსიერების ადგილების" იმ ფორმებს, რომელიც საპროტესტო გამოსვლების დროს შეიქმნა.

ცვლადების **კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია**:

1. **ომის მეხსიერების გააქტიურება** - ომის ხსოვნა ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებში, რომელიც მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების დროს აქტიურდება სხვადასხვა ფორმით;
2. **საპროტესტო რეპერტუარის ფორმირება** - 2024 წლის 28 ნოემბრიდან 30 აპრილამდე საპროტესტო მოძრაობის დროს გამოყენებული პროტესტის ფორმები: ქუჩის მხატვრობა, ბანერები, მარშები, ონლაინ-კამპანიები;

3. **მტრის ხატად წარმოსახვის პროცესი** - რუსეთის ფედერაციის მტრის როლში მყოფ სახელმწიფოდ წარმოჩენა, რაც აისახება სხვადასხვა პოლიტიკურ ნარატივებში და პროტესტის ფორმებში;
4. **ეროვნული იდენტობის შექმნის მცდელობა** - ერის ავთენტური მახასიათებლების გააზრება და ინდივიდის მიერ ერის, როგორც სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნება. მისი ინდიკატორებია: ენა, კულტურა, ღირებულებები.

კვლევის **მეთოდოლოგიად** შევარჩიეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, რომლის მეშვეობითაც გავაანალიზეთ მედია ქრონიკების, ქუჩის მხატვრობების, ტრანსპარანტების, მარშების შინაარსი და აგვისტოს ომის ხსოვნის ფორმირება მათში. კონტენტ-ანალიზისთვის განისაზღვრა ის პერიოდი, როდესაც საპროტესტო გამოსვლები აქტიურ ფაზაში იყო, ეს პერიოდია: 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 30 აპრილამდე. ამასთან, კვლევისას ჩავატარეთ ოთხი საექსპერტო ინტერვიუ, რამაც მოგვცა კვლევის შედეგების ვალიდაციის საშუალება. მონაცემები დავამუშავეთ კონტენტ-ანალიზის ჩარჩოს მიხედვით (იხილეთ: დანართი 1).

კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით კი გამოვიყენეთ არაალბათური მიზნობრივი **შერჩევა**, კერძოდ:

1. საპროტესტო მარშების გეგმების, აქციებისა და ონლაინ-კამპანიების თემატიკის შესასწავლად გამოვიყენეთ Facebook საორიენტაციო ჯგუფი "დაიტოვეს" პოსტები 2024 წლის ნოემრბიდან 2025 წლის აპრილამდე. შერჩევა განხორციელდა ჯგუფში წარმოდგენილი ინფორმაციის სისტემურობის საფუძველზე;
2. საპროტესტო სტენსილებისა და ბანერების შესასწავლად გამოვიყენეთ შემდეგი ონლაინ მედია-საშუალებები: On.ge, რადიო თავისუფლება და ინტერპრესნიუსი მათში წარმოდგენილი ინფორმაციის სისტემურობის და ვიზუალიზაციის საფუძველზე 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის აპრილამდე.

3. საექსპერტო ინტერვიუსთვის შერჩევა განხორციელდა მიზნობრივად. ინტერვიუსთვის შევარჩიეთ ორი ისტორიის მკვლევარი, პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარი და მეხსიერების პოლიტიკის მკვლევარი.

კვლევის ლიმიტი - კვლევა ეყრდნობა საექსპერტო ინტერვიუებსა და თვისებრივ კონტენტ-ანალიზს, შესაბამისად, პროტესტის მონაწილეთა ფართო მასობრივი აღქმები ნაშრომში არ არის წარმოდგენილი.

ნაშრომი დაეყრდნო შემდეგ **სამეცნიერო ლიტერატურას**:

Halbwachs, M. (1992). „On Collective Memory“. University of Chicago Press;

Norra, P. (1989). "Between Memory and History". University of California Press;

Tilly, C. (2004. „Social Movements“. Paradigm Publishers;

Young, J. E. (1993). “The Texture of Memory: Holocaust Memorials and Meaning”. Yale University Press.

საკვანძო სიტყვები: კოლექტიური მეხსიერება, ხსოვნის პოლიტიკა, ეროვნული იდენტობა, რუსული ოკუპაცია, აფხაზეთის ომი, გმირობის ნარატივი.

ნაშრომი შედგება **სამი თავისგან:**

პირველ თავში განხილულია კოლექტიური მეხსიერების თეორიები, რაც ქმნის საფუძველს ომის მეხსიერების ფორმირებისა და მისი პროტესტის რეპერტუარში ინტეგრირების ასახსნელად;

მეორე თავში განხილულია აგვისტოს ომის სოციალური და ისტორიული კონტექსტი, ასევე, ახსნილია, როგორ არის შემორჩენილი აგვისტოს ომი მეხსიერების ინსტიტუციურ და არაინსტიტუციურ ფორმებში;

მესამე თავი კი ეთმობა პროტესტის ფორმების შემთხვევათა ანალიზს, აგვისტოს ომის მეხსიერების სელექციურობასა და მის პოლიტიკურ განზომილებებს პროტესტის რეპერტუარში.

თავი I - კოლექტიური მეხსიერება და ომის მეხსიერების თეორიული ასპექტები

ერის ჩამოყალიბების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ მეხსიერებას, ვინაიდან ეს არის ისტორიისა და წარსული გამოცდილების საერთო განცდა სოციალური ჯგუფის მიერ. რთულია, განისაზღვროს კოლექტიური მეხსიერების საფუძველზე ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური მეხსიერება თუ პირიქით. თუმცა, ცხადია, რომ ამ ორს შორის კორელაცია მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში და ზოგადად, საზოგადოებების ერად ჩამოყალიბებისათვის. ომი მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან ის აყალიბებს იდენტობის განცდას ადამიანთა შორის (Mosse, 1990). ომი არა მხოლოდ პოლიტიკური მოვლენა, არამედ ღრმა კულტურული გამოცდილებაა, რომელიც წარმოშობს გმირობის კულტს, სიმბოლიზმს და ნაციონალიზმის ჩანასახებს. თანამედროვე საქართველოს შემთხვევაში, საბჭოთა წარსულის გავლენა ომის მეხსიერების ფორმირებაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, ვინაიდან ის არ არის შორეული გამოცდილება და გასათვალისწინებელია მისი გამოვლინებები.

ომი ადამიანთა ცხოვრების მრავალ ასპექტზე მოქმედებს და ის როგორც პოლიტიკის მეცნიერების, ისე სოციოლოგიისა თუ ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია სხვადასხვა ინტერპრეტაციებით. ომის ფენომენოლოგიური ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ომის პიროვნულ და კოლექტიურ ტრავმებთან მიმართებით. ომის სუბიექტური გამოცდილება ხშირად ფორმირდება არა მხოლოდ კონკრეტული ძალადობრივი აქტის შედეგად, არამედ მის მოლოდინში, მის ხსოვნაში, მის მიერ დადგენილ ნორმებში და სოციალურ რეალობაში. ფენომენოლოგიური გაგებით, ომი წარმოადგენს ეგზისტენციურ რღვევას — სამყაროს უწყვეტობისა და მნიშვნელობის დესტრუქციას. ამით ნათელი ხდება, რომ ომი თანამედროვე პირობებში ფენომენოლოგიურად აღარ განიცდება მხოლოდ ფრონტზე მყოფი ადამიანის მიერ (Mosse, 1990). ომი შეიძლება იყოს კულტურული გამოცდილება, რომელსაც ადამიანები სოციალური ნარატივების, იდეოლოგიის და სიმბოლიზმის საშუალებით ეზიარებიან. ერების მშენებლობის პროცესში ომი ხშირად ხდება კოლექტიური იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტი. ბენედიქტ ანდერსონის თანახმად, ნაციონალური

იდენტობა დიდწილად ფიქციური კონსტრუქციაა, რომელიც „წარმოსახვითი თანამეგობრობის“ ფარგლებში ყალიბდება, სადაც ომის გამოცდილება ცენტრალური სიმბოლური აქტია (Anderson, 1983). ომის ინსტიტუციონალიზაცია ფართო პრაქტიკაა მსოფლიოში, ვინაიდან ომის მეხსიერების გააქტიურება უდევს საფუძვლად მრავალ პოლიტიკურ მოვლენას და ცხადია, ეს პროცესები ომის მეხსიერების გააქტიურებით საერთო იდენტობის შექმნამდე მიდის. ომის ფენომენოლოგიური გაგება აუცილებლად მოითხოვს მრავალხმოვნებას და ჰერმენევტიკულ სიღრმეს. ომი არც მხოლოდ ძალადობაა და არც მხოლოდ პოლიტიკური სტრატეგია — ის ასევე გახლავთ ტრავმების, რწმენების, მსხვერპლთა ხსოვნისა და იდენტობის განახლების გამოცდილება.

მეხსიერება ეს არის საგნებისა თუ მოვლენების თავიდან წარმოდგენის აქტი ინტერპრეტირების საფუძველზე, რაც საზოგადოებრივ სტრუქტურებში გამოიყენება თანმიმდევრული ნარატივების შესაქმნელად (Olick & Robbins, 1998). შესაბამისად, ომის მეხსიერება ამძაფრებს სოციალურ ჯგუფებში იდენტობის შეგრძნებას და ჩვენი კვლევის თემატიკის ირგვლივ შეიძლება ითქვას, რომ ააქტიურებს პროტესტის მუხტს, რასაც ამტკიცებს ის პროტესტის ფორმები, რომელიც კვლევის ფარგლებში შესასწავლ პროტესტის რეპერტუარში ვლინდება. ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ ომის მეხსიერება სტატიკური არ არის, არამედ, მასში დინამიკურად მონაწილეობენ ინდივიდები და ხდება მეხსიერების ახლებური გააზრება. საბოლოოდ კი, „ეს არის პარადოქსულად განწირული მცდელობა იმისა, რომ ობიექტი, პიროვნება ან მოვლენა კვლავ ხელშესახები გახდეს აწმყოში“ (Caldicott, 2014). ქართული პროტესტის ფორმების განხილვის დროს ვხვდებით, რომ აგვისტოს ომის მეხსიერება უბრალოდ არ აქტიურდება, არამედ, ხდება მისი სიმბოლიზაცია და გაერთიანება აფხაზეთის ომის, ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის მეხსიერებასთან და რუსეთის ფედერაციის მტრის ხატად გააზრებასთან. როგორც ჯორჯ მოსსე წერს მსოფლიო ომების მეხსიერებაზე, ომი წლების შემდეგ გადაკეთდება „წმინდა გამოცდილებად“, რომელიც ერს შესძენს ომის გააზრების ახალ პარადიგმას (Mosse, 1989). აგვისტოს ომის ხსოვნის გააქტიურება პროტესტის პროცესში, ემთხვევა ჯორჯ მოსსეს მიერ აღწერილ ომის აღქმის ტრანსფორმაციას, რამდენადაც ეს ომი წმინდა და ხელშეუხებელ პროცესად

ინტერპრეტირდება. ამასთან, როგორც უერჩი და როდიგერი წერენ, კოლექტიური დამახსოვრება დაფუძნებულია გმირობის ნარატივზე. საინტერესოა, რომ პროტესტის რეპერტუარში აქტიურდება ომის კონკრეტულ მონაწილეთა მეხსიერება და მათ გმირობაზე აქტიური ხაზგასმა, რაც უერჩისა და როდიგერის მიხედვით, ომის კოლექტიურ მეხსიერებას განასხვავებს ომის ანალიტიკური ისტორიისაგან (Wertsch & Roediger, 2012).

„ჩვენ მეხსიერების ზეიმის საყოველთაო ეპოქაში ვცხოვრობთ"- ამ ციტატით პიერ ნორა აღნიშნავდა თანამედროვე საზოგადოებებში მიმდინარე ცვლილებებს, რომელიც ეროვნული თვითგამორკვევისა და იდენტობის ფორმირების საფუძველს ქმნის (Norra, 1989). მათ შორის, ახალი პოლიტიკური თუ სოციალური მოთხოვნები აღვიძებს მეხსიერებას, განსაკუთრებით, პოლიტიკური პროცესების კრიტიკისა და გადასინჯვის დროს. გასაკვირი არაა, რომ მეხსიერების გააქტიურების საფუძველს კოლექტიური მეხსიერება ქმნის, ვინაიდან წმინდად ინდივიდუალური მეხსიერების ფენომენის არსებობის დამტკიცება ჯერ კიდევ რთული საკითხია. ყოველი ადამიანის ინდივიდუალურ მეხსიერებას ქმნის კოლექტიური მეხსიერება - ყველაფერი ის, რაც წლების და საუკუნეების განმავლობაშიც კი, გადაიტანეს წინა თაობებმა. ადამიანი წარსულს იხსენებს სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთქმედებით და სხვადასხვა ისტორიული პროცესის გადასინჯვა თაობების მიერ განსხვავებულად ხდება, რადგანაც მათ განსხვავებულ სოციალურ და პოლიტიკურ რეალობაში უწევთ ცხოვრება (Halbwachs, 1990).

ისტორიული მოვლენის მეხსიერების გააქტიურებას არა მხოლოდ კოლექტიური ცნობიერება, არამედ დამახსოვრების სხვადასხვა ხერხებიც უწყობენ ხელს, რომლებიც პიერ ნორას ნაშრომში განხილულია, როგორც „მეხსიერების ადგილები" (Lieux de mémoire). მეხსიერების ადგილებად გვევლინება ღონისძიებები, მონუმენტები, დღესასწაულები და ყოველივე ის მცდელობა, რომელიც მიმართულია ისტორიული პროცესის მეხსიერებაში მყარად ჩასაწერად. ეს ის ბუნებრივი მოცემულობაა, რომელიც ადამიანს ახასიათებს, ვინაიდან ადამიანი დროის სამივე განზომილებაში ცხოვრობს და მისთვის აუცილებელია წარსულის დამახსოვრება სხვადასხვა ფორმით კულტურული იდენტობის შესაბამისად. მათ შორის, ისეთი ტრავმული გამოცდილებისაც კი,

როგორიცაა ომი. ომის ხსოვნის გააქტიურება პროტესტის დროს მრავლისმთქმელია კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკურ ამინდზე, ვინაიდან, ის ქმნის ბმებსა და კავშირებს სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან მოვლენებთან და ტენდენციებთან. ის ფორმები კი, რომლითაც გამოიხატება პროტესტში ომის ხსოვნა, ნიშანდობლივია და კვლევისთვის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს. სწორედ, ეს პროტესტის ფორმებიც შეგვიძლია განვიხილოთ მეხსიერების ადგილებად, ვინაიდან ეს მცდელობაც მიმართულია საზოგადოებაში აგვისტოს ომის მეხსიერების მყარად ჩაწერისაკენ.

მეხსიერების პოლიტიკა, როგორც კვლევის სფერო, არ მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ნარატივებს, არამედ, ნებისმიერ აქტივობას, რომელიც ცდილობს ამ ისტორიული პროცესების გააზრებას და ინტერპრეტაციას. მათ შორის არის პროტესტი, როგორც მეხსიერების პოლიტიკის გააქტიურების ინსტრუმენტი. პროტესტი ვლინდება მრავალი ფორმით - დაწყებული პეტიციებიდან მრავალ ათასიან მსვლელობებამდე, ხელოვნების ფორმების გამოყენებით და მის გარეშეც. პროტესტი ფლობს შესაძლებლობას დაუპირისპირდეს იმ ნარატივებს, რომელიც ხალხის ფართო მასებისთვის მიუღებელია და გზად, ინტერპრეტირებს პოლიტიკურ წარსულსაც, როგორც პოლიტიკური აწმყოს მყარ საფუძველს. პროტესტი არის აშკარა და დაუფარავი წინააღმდეგობა, შესაბამისად, პროტესტში მეხსიერების პოლიტიკის გააქტიურების ტალღები მყარი და მრავლისმთქმელია.

მეხსიერების პოლიტიკის გააქტიურებაში განსაკუთრებული წვლილი აქვს პროტესტის ისეთ ფორმებს, რომელიც მჭიდრო კავშირშია ხელოვნებასთან. ხელოვნების ენით წარმოდგენილი პროტესტი ატარებს მუხტს, რომელსაც შეუძლია ნარატივებთან ბრძოლა. ხელოვნების ინსტალაციები, პერფორმანსები, დაღუპულ გმირთა სტენსილები და სხვა. ეს განსაკუთრებით, ომის და გენოციდების კონტექსტში, რომლებიც ისედაც ატარებენ ძლიერ ემოციურ მხარეს (Taylor, 2003; Becker, 2011). ამ ფორმების შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ, როგორც ფაქტის, არამედ, როგორც ახალი პოლიტიკური დისკურსის შემქმნელი აგენტების. ამდენად, პროტესტი ქმნის ალტერნატიულ სივრცეს ისტორიული მოვლენების და მათ გარშემო არსებული ნარატივების თავიდან გასააზრებლად, რაც ცხადია, მეხსიერების გააქტიურების პროცესია. ეს კი განსაკუთრებით ისეთი წარსულის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სადაც,

2008 წელს მომხდარი აგვისტოს ომი პროტესტის მონაწილეთა დიდ ნაწილს უაშუალოდ, პერსონალურ მეხსიერებაში აქვს და ის მხოლოდ კოლექტიური მეხსიერებიდან ფრაგმენტს არ წარმოადგენს.

თავი II- 2008 წლის აგვისტოს ომი ქართველი ხალხის კოლექტიურ ხსოვნაში

თანამედროვე საქართველოში მეხსიერების კვლევებისათვის მნიშვნელოვანი ასპექტია საბჭოთა წარსულის გააზრება. საბჭოთა წარსულმა საქართველოში შეცვალა პოლიტიკური კულტურა, ქცევა და რაც მთავარია, პოლიტიკური ნარატივები. ამასთან, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ომის მეხსიერების და ზოგადად, მეხსიერების პოლიტიკის გააქტიურება მხოლოდ ინსტიტუციური ფორმებით ხდებოდა, რადგან პარტიას ჰქონდა ამ პროცესზე ჰეგემონია. პოსტ-საბჭოთა საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის ინსტიტუციური ფორმების გააქტიურება დღემდე აქტუალურია, თუმცა, თანდათან ვხვდებით არაინსტიტუციურ ფორმებსაც. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ თანამედროვე საქართველოში მეხსერების გააქტიურება ხდება ომის ნარატივების გარშემო. ეს ბუნებრივია იმ პირობებში, სადაც უახლესი ისტორია ტრავმასთან ასოცირდება. სწორედ, ამ მიზეზით, პოსტ-საბჭოთა სივრცეში პროტესტი ხშირად ეფუძნება წარსულ ტრავმებზე აპელირებას - ეთნიკურ კონფლიქტებზე, ომებზე, ოკუპაციაზე და სხვა.

აღნიშნული არ წარმოადგენს მხოლოდ არასასურველ ნარატივებთან ბრძოლის მეთოდს. ეს არის მორალური უპირატესობის მოპოვების მცდელობა, რათა აჩვენონ სისტემის მორალური მარცხი ან ისტორიის გაყალბების მცდელობები გამოააშკარაონ. როგორც სემუელ მერილი და ენ რიგნი წერენ, "მეხსიერების აქტივიზმის კონცეფცია, რომელიც ძირითადად გამოიყენება მნემონიკური ცვლილებებისკენ მიმართული აქტივიზმის გასაგებად, ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა ჰეგემონიური ნარატივების შესაცვლელად და ჩახშული ხმების მიმოქცევაში მოსაყვანად საზოგადოებრივ კამპანიებში ხილვადობის მოტანაში" (Merrill & Rigney, 2024). ამ პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია ომის ხსოვნის ის ფორმები, რომლებიც კონცენტრირებულია აგვისტოს და აფხაზეთის ომის გმირთა სახელის გამოკვეთაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამოუკიდებლობის მოპოვებით, 1991 წელს დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივობის შენება. მას შემდეგ საქართველო

გარდამავალი დემოკრატიის ფაზაშია და არსებობს სახელმწიფოებრივობის დაკარგვის ერთგვარი შიში ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, მეხსიერების პოლიტიკის გააქტიურება ტრავმულ წარსულთანაა დაკავშირებული. ეს ეხმიანება იმ საზოგადო ტენდენციას, რომელსაც ენ რიგნი აღწერს ნაშრომში "ტრანსნაციონალური აქტივიზმი ტრავმის მიღმა". ავტორი აღნიშნავს, რომ მეხსიერების კვლევებში დომინირებს ტრავმული მეხსიერება, რომელიც კვებავს გლოვის მემორიალიზაციას თანამედროვე კულტურებში. ამასთან, ერნესტ რენანის მიერ წამოყენებული იდეა, რომ "ტანჯვა უფრო მეტად აკავშირებს ადამიანებს, ვიდრე სიხარული", მართლაც, სახელმძღვანელო პრინციპად იქცა თანამედროვე კულტურის კვლევებისთვის (Rigney, A., 2018). შესაბამისად, თანამედროვე საქართველოში ომის მეხსიერების გააქტიურებას მრავალი საფუძველი აქვს, თუმცა, მათ შორის უმთავრესია ისეთი ნეგატიური გამოცდილებები, როგორებიცაა: საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა, სახელმწიფოებრივობის კრიზისი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აფხაზეთის ომი, ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია და უახლესი - აგვისტოს ომი.

აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურებაზე საუბრისას პროტესტის რეპერტუარში, უპირველესად საჭიროა იმ ინფორმაციის გენერირება, რომელიც ამ ომის გარშემო არსებობს. ხოლო, ომის მიზეზებისა და მსვლელობის ისტორიული კონტექსტი გვეხმარება გავაანალიზოთ ის ფორმები, რომლითაც ხდება მისი დამახსოვრება. ამასთან, ის სოციალური კონტექსტი, რომელიც აგვისტოს ომმა შექმნა საქართველოში არსობრივად განსხვავდებოდა სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში, ვინაიდან ისინი ამ ომის გაშუქებას და დამახსოვრებას სხვადასხვა პრიზმიდან ცდილობდნენ. გარდა ოფიციალური უწყებებისა, ომი საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაშიც თავისი ფორმებით არასებობს, რომელიც არ არის დაგეგმილი ან ორგანიზებული ვინმეს მიერ და წარმოადგენს მეხსიერების ყველაზე ბუნებრივ ფორმას. ომის ხსოვნის ინსტიტუციური ფორმების ანალიზით გავიგეთ, რა ფორმებით გამოიხატება აგვისტოს ომის ხსოვნა საქართველოში 2008 წლიდან დღემდე, რაც აღნიშნული კვლევის შედეგების შეჯამებისას, მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციების გამოვლენაში დაგვეხმარება.

2.1. აგვისტოს ომის ხსოვნის ისტორიული და სოციალური კონტექსტი

2008 წელს საქართველო აღმოჩნდა ისეთი რთული პროცესის წინაშე, როგორიცაა რუსეთ-საქართველოს ომი. ამასთან, ეს ომი იყო რუსეთის ფედერაციის მიერ კარგად ორგანიზებული თავდასხმა. ვინაიდან, რუსეთის ფედერაცია თავს მიიჩნევს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ (გაჩეჩილაძე, 2025), ის აგრძელებს მის საგარეო იმპერიალისტურ პოლიტიკას დღემდე. თუმცა, როგორც ამას მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, აგვისტოს ომისკენ რუსეთის ფედერაციამ აქტიური ნაბიჯები გადადგა ბუქარესტის სამიტის შემდეგ ანუ მაშინ, როდესაც ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების ჯერ კიდევ ბუნდოვანი იმედი გაჩნდა საქართველოსა და უკრაინისთვის. ბუქარესტის დეკლარაციაში წერია, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მიესალმება საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკურ მისწრაფებას NATO-ში გაწევრიანებისკენ და ისინი ამ დღეს თანხმდებოდნენ, რომ "საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებოდნენ" (Bucharest Summit Declaration, 2008).

აგვისტოს ომის აქტიური ფაზა 2008 წლის 7 აგვისტოს (ზოგიერთ წყაროში 8 აგვისტოს) დაიწყო და გაგრძელდა 5 დღის განმავლობაში (რადიო თავისუფლება, 2023), თუმცა, მან გამოიწვია უდიდესი როგორც ფინანსური, ისე ადამიანური და ტერიტორიული დანაკარგი. UNHCR-ის 12 სექტემბრის მონაცემებით, საქრთველოში 134 597 ადამიანი იქნა დევნილი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე უდიდესი მატერიალური და ფსიქოლოგიური ზიანით (UNHCR, 2008). აგვისტოს ომის გააზრება თანამედროვე საქართველოში მძაფრად ხდება, რადგანაც ის ჯერ კიდევ კომუნიკაციური მეხსიერების ნაწილია. ომის მიერ შექმნილმა მძიმე სოციალურმა ფონმა, ადამიანთა იძულებით გადაადგილებამ, საცხოვრებლისა და შემოსავლის წყაროს დაკარგვამ, ოჯახის წევრების ომში გარდაცვალებამ და სხვა მრავალმა ფაქტორმა, ეს ომი აქცია ტრაგედიად, რომლის მეხსიერებაც თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების ფონზე მძაფრად აქტიურდება.

გარდა ომის ტრადიციული მეთოდებისა, რუსეთის ფედერაცია იყენებდა პროპაგანდის მძლავრ მეთოდებს, რომლებიც მოქმედებდნენ ნარატივების დაპირისპირებაზე და ქმნიდნენ ნიადაგს სოციალური კონფლიქტებისათვის. მათ შორის, ეს ეხება

საქართველოს ეთნიკურად ოსი და ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობის დაპირისპირებას ქართველ ხალხთან, რომელიც არაერთგვაროვან სოციალურ და პოლიტიკურ ფონს ქმნის დღემდე. შიდა პოლარიზაცია კი ქვეყნის პოლიტიკური ამინდისათვის მეტად რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩრდილოელი მეზობელი პატარა ქვეყნის პოლიტიკაში პერმანენტულად ერევა და სასათბურე პირობებს ქმნის ხელოვნური ეთნიკური კონფლიქტებისათვის. როგორც ისტორიის მკვლევარი აღნიშნავს, აგვისტოს ომმა შექმნა ფონი საზოგადოებაში, რომელმაც გააჩინა შესაძლო ომების მძლავრი შიში, რაც კარგი დასაყრდენია პროპაგანდის გასავრცელებლად (სიღრმისეული ინტერვიუ ისტორიის მკვლევართან, 16.06.2025). ამდენად, აგვისტოს ომი კოლექტიურ მეხსიერებაში ასოცირდება არა მხოლოდ ტერიტორიულ ან ადამიანურ დანაკარგებთან, არამედ, ღრმა და ხელოვნურ სოციალურ დაპირისპირებასთან. ნარატივების დაპირისპირება 2008 წლის ომის ხსოვნის გარშემო დღემდე არსებობს და ისინი გამოიხატება როგორც ინსტიტუციური, ისე არაინსტიტუციური ფორმებით.

2.2. აგვისტოს ომის ხსოვნის ინსტიტუციური და არაინსტიტუციური ფორმები

აგვისტოს ომის ხსოვნის ინსტიტუციური ფორმები

ომის მეხსიერებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ როგორ ფორმირდა მეხსიერება ამ დრომდე, ხოლო ამაში პიერ ნორას მიერ აღწერილი "მეხსიერების ადგილები" იღებენ მონაწილეობას. ისინი სხვადასხვა ფორმისაა, თუმცა შინაარსით ყველა ემსახურება მეხსიერების დავიწყების თავიდან აცილებას (Norra, 2011). ომის მეხსიერების ინსტიტუციური ფორმები კი გამოხატავენ სახელმწიფოს ოფიციალურ პოზიციას კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე, ჩვენს კონტექსში კი - აგვისტოს ომზე. ამ ომის ხსოვნისადმი მიძღვნილია არაერთი დამახსოვრების ადგილი როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში (იხილეთ: ცხრილი 1.). პიერ ნორას მიხედვით, ეს შეიძლება იყოს საფლავი, მონუმენტი, ძეგლი, მუზეუმი ან არამატერიალური სახის

იუბილეები, დღესასწაულები, მარშები, აღნიშვნები და სხვა (Norra, 1989). ამასთან, მეხსიერების ადგილია სხვადასხვა მხატვრული შემოქმედებაც: ფილმი, ვიდეო-კლიპი, წიგნი, რეკლამა და სხვა.

ადგილმდებარეობა	ომის ხსოვნის ინსტიტუციური ფორმები
ქალაქი თბილისი	მონუმენტი "ერთიანი საქართველოსთვის" (გმირთა მოედანი)
	მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო
ქალაქი ზუგდიდი	ადგილობრივი გმირებისადმი მიძღვნილი მემორიალი
ქალაქი კასპი	ორი ადგილობრივი გმირისადმი მიძღვნილი მემორიალი
სოფელი შინდისი	17 შინდისელი გმირისადმი [1]მიძღვნილი მონუმენტი
სოფელი ნიქოზი	ადგილობრივი გმირებისადმი მიძღვნილი მემორიალი

ცხრილი 1. აგვისტოს ომის ხსოვნის ინსტიტუციური ფორმები.

აგვისტოს ომის მეხსიერების ინსტიტუციური ფორმების აღწერისას გამოვიყენებთ ჯეიმს იანგის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, სადაც ის საუბრობს მონუმენტურ მეხსიერებაზე (Monumental memory), რომელშიც მოიაზრება ის მონუმენტური სტრუქტურები, რომლებიც ემსახურება ომის მსხვერპლთა ესთეტიზაციას და გმირობაზე ხაზგასმას (Young, 1993). აგვისტოს ომის თემატიკაზე შექმნილი მონუმენტებიც, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, შეესაბამება ამავე დანიშნულებას. ამასთან, კომემორაციის ეს ფორმა გამოიყენება იმაზე ხაზგასასმელად, რომ 2008 წლის ომი არ იყო მხოლოდ შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის, არამედ ის

[1] 17 შინდისელი გმირი- 2008 წლის 11 აგვისტოს გორის რაიონ სოფელ შინდისში 17 ჯარისკაცი შეეწირა რუსულ საბრძოლო შენაერთთან ბრძოლას.

ეროვნული ტრაგედიაა. მაგალითისთვის, შინდისის გმირთა მემორიალი 17 გმირის სკულპტურისგან შედგება (იხილეთ: სურათი 1), რომლებიც წრეზე არიან განლაგებულნი. ეს ფორმა შემთხვევითი არაა, ის მიუთითებს მათი გმირობის მარადიულ და უწყვეტ არსებობაზე. ამასთან, მონუმენტზე დატანილია წარწერა "17 გმირი ქმნიდა ერთ წრეს და არ დანებდა" (Euronews, 2023), რაც თავის მხრივ, ქვეყნისადმი თავდადების მნიშვნელობის ხაზგასმაა.

სურათი 1. შინდისის ომის გმირთა მემორიალი. წყარო: https://euronewsgeorgia.com

მეორე მასშტაბური დამახსოვრების ადგილია მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო (იხილეთ: სურათი 2), რომელიც 2009 წლის 26 მაისს გაიხსნა. უპირველესად, ეს იყო სიმბოლური აქტი და აგვისტოს ომის ხსოვნის დაკავშირება 1918 წლის 26 მაისთან. როგორც ჯეიმს იანგი წერს, მეხსიერება მხოლოდ წარსულის აღწერა არაა და ის სიმბოლური ჟესტების მეშვეობითაც ხორციელდება (Young, 1993). სწორედ ასე მოხდა ამ ძმათა სასაფლაოს დაკავშირება დამოუკიდებლობის დღესთან (1918 წლის 26 მაისი) და

ქვეყნისადმი სამსახურის გაწევის მნიშვნელობასთან. აღსანიშნავია, რომ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო არ არის მხოლოდ სახელმწიფოსთან ასოცირებული მონუმენტი, არამედ, ის დაუკავშირდა რელიგიასაც, ვინაიდან კომემორაციის ამ ადგილას გაჩნდა რელიგიური ხასიათის სიმბოლიკა, როგორიცაა ჯვრები, წმინდა ცეცხლი. მემორიალის გახსნას საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ესწრებოდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორეც.

სურათი 2. მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო. წყარო: https://1tv.ge/news

მასშტაბური ინსტიტუციური ფორმებიდან, ასევე, გამოვყოფთ მონუმენტს "ერთიანი საქართველოსთვის", რომელიც დაუკავშირდა მანამდე არსებულ აფხაზეთის ომის გმირთა მემორიალს. აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ომი ცალკე მოვლენა არ არის საქართველოს ისტორიაში, არამედ ის უკავშირდება 1991 წლის აფხაზეთის ომსაც და ქმნის რუსეთის, როგორც მტრის ხატის სურათს. ეს მემორიალიც სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ უკვდავყოს ყველა გმირი, რომელიც შეეწირა ქვეყნის რუსეთისაგან დაცვას.

ქვეყნის იმდროინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვლმა შემდეგი განცხადება გააკეთა მემორიალის გახსნის დღეს: "საქართველო და თავისუფლება ჩვეულებრივი სიტყვები არ არის, ეს არის ის რისთვისაც ღირს ცხოვრება, სუნთქვა, სწვალა, მოღვაწეობა, დაუღალავი შრომა, ახალი რამის შექმნა და ეს არის ის, რისთვისაც სიკვდილი ღირს. ამ მემორიალზე 4000-მდე ჩვენი ბიჭების სახელები წერია. თუმცა აქ არის ძალიან ბევრი ადგილი. ვისურვებდი, რომ ეს ცარიელი ადგილები არასდროს არ შევსებულიყო. ჩვენ გამოცდილი ერი ვართ და ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ აქ გვარები აღარ დაემატოს" (Ghn.ge, 2010). ეს ადგილიც ისევე, როგორც მუხათვერდის ძმათა სასაფლაო, გაფორმებულია მარადიული ცეცხლის სიმბოლური დეტალით (იხილეთ: სურათი 3).

სურათი 3. მემორიალი „ერთიანი საქართველოსთვის“. წყარო: Tabula.ge.

გარდა მატერიალური მონუმენტებისა, აღსანიშნავია ომის მეხსიერების სხვა ინსტიტუციური ფორმებიც, როგორებიცაა ომის თარიღის გახსენების დღეები და მხატვრული შემოქმედება. ყოველი წლის 7 ან 8 აგვისტოს სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლები პატივს მიაგებენ დაღუპულ გმირთა ხსოვნას და მონუმენტებსა და ძმათა სასაფლაოს ამკობენ ყვავილებით. ეს სიმბოლური აქტი გამოხატავს ერთგვარ

პატივისცემას ქართველი ხალხის სახელით. ხოლო, რაც შეეხება მხატვრულ შემოქმედებას, აღსანიშნავია რეჟისორ რენი ჰარლინის ფილმი "აგვისტოს 5 დღე", რომელიც 2011 წელს გადაიღეს და ის ასახავს ომის მოვლენებს. ამ ფილმში ყველაფერი ნათელია - რუსეთის ფედერაცია დამნაშავეა, ხოლო საქართველო მსხვერპლი, რომელსაც აგრესორისგან თავის დაცვა უწევდა. ზემოხსენებული ომის ხსოვნის ინსტიტუციური ფორმებისგან განსხვავებით, ეს ფილმი არ არის მორგებული მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ მასშტაბზე, არამედ ის შექმნილია მთელი მსოფლიოსთვის. ომის შესახებ ფილმები მნიშვნელოვანი "მეხსიერების ადგილია", ვინაიდან ომის ქრონიკებისა და სისასტიკის ვიზუალიზაცია ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე და ისტორიულ პროცესს სასურველი პრიზმიდან აშუქებს.

აგვისტოს ომის ხსოვნის არაინსტიტუციური ფორმები

აგვიტოს ომის ხსოვნა გარდა ზემოთ აღწერილი ინსტიტუციური ფორმებისა, არაინსტიტუციური ფორმებითაც არსებობს. პიერ ნორასა და ჯეიმს იანგის თეორიებით, ადამიანები, რომლებიც არაორგანიზებულად მიისწრაფვიან ეროვნული ტრაგედიის ან ომის მეხსიერების შენახვისაკენ, "მეხსიერების ქორეოგრაფები" არიან (ქარაია, 2015). ეს მცდელობები, როგორც წესი, ომის ხსოვნის არაინსტიტუციურ ფორმებშია რეალიზებული. ასეთებია: მარშები, საპროტესტო აქციები, ღონისძიებები, სტენსილები, თანამედროვე სამყაროში ონლაინ კამპანიები და სხვა. აგვისტოს ომის ხსოვნას საპროტესტო გამოსვლებსა და მარშებზე ნაშრომის შემდეგ თავში ვისაუბრებთ, ხოლო ახლა განვიხილავთ სტენსილებსა და ონლაინ კამპანიებს, რომლებიც საპროტესტო აქციებამდეც წარმოადგენდა "მეხსიერების ადგილს".

სტენსილები ანუ კედლის მხატვრობა, თანამედროვე სამყაროში საკუთარი აზრის გამოხატვის აქტუალურ გზად იქცა. მას ვხვდებით ბევრ ადგილას და ცხადია, მათი დიდი ნაწილი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, მათ შორისაა აგვისტოს ომიც. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში უმეტესად ვხვდებით სტენსილებს, რომლებიც ასახავენ აგვისტოს ომის გმირ გიორგი ანწუხელიძეს და მასთან ვხვდებით სხვადასხვა წარწერებს. ეს წარწერები კვლევის ფარგლებში შესასწავლი პროტესტის განმავლობაშიც ხშირად ჩნდებოდა. მაგალითისთვის: "დიდება გმირებს", "არ შეეგუო ოკუპაციას", "არასდროს არ დანებდე" და სხვა. როგორც წესი, აგვისტოს ომის თემატიკა

მჭიდრო კავშირშია რუსეთის მტრის ხატად წარმოჩენის მცდელობასთან. გარდა ამისა, გიორგი ანწუხელიძის სტენსილთან ვხვდებით ისეთ ქართველ ისტორიულ ფიგურებს, როგორებიც არიან მარო მაყაშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ამდენად, ამ ქუჩის მხატვრობათა ნაწილი გმირობის, თავგანწირვისა და ქვეყნისადმი გაწეული სამსახურის ესთეტიზაციის მცდელობაა, რაც მათზე დატანილ წარწერებშიც ჩანს.

ჯეიმს იანგი ხაზს უსვამს, რომ მეხსიერება არ არის ერთგვაროვანი და ის ზოგჯერ წინააღმდეგობრივია. სწორედ, წინააღმდეგობრივობის გამოხატულებაა გიორგი ანწუხელიძის სტენსილების მიზანმიმართული დაზიანება, რომელიც ძალზედ თვალშისაცემია ბოლო წლების და განსაკუთრებით, ბოლო თვეების განმავლობაში. ვინაიდან მიმდინარე საპროტესტო აქციებმა გააქტიურა მსგავსი სტენსილების შექმნა, ასევე გააქტიურდა მათი წაშლის ან გადაღებვის მცდელობები (იხილეთ: სურათი 4).

სურათი 4. გიორგი ანწუხელიძის დაზიანებული სტენსილი. წყარო:https://on.ge/story

გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ მეხსიერებას ახასიათებს სელექციურობაც. აგვისტოს ომის მეხსიერების არაინსტიტუციური ფორმები ძირითადად აქცენტს აკეთებს გმირებზე, თუმცა მათში ხაზგასმული არ არის ტერიტორიული დანაკარგებისა და დევნილთა საკითხები. იგივე ტენდენცია გამოვლინდა პროტესტის რეპერტუარშიც,

სადაც აქტიურდება გმირების ხსოვნა სხვადასხვა ფორმით. როგორც ისტორიის ორი მკვლევარი აღნიშნავს კვლევისას ჩატარებულ საექსპერტო ინტერვიუში, აგვისტოს ომის ხსოვნა ინსტიტუციურ დონეებზე საკმაოდ ფრაგმენტულია და ძირითადად, ის აქტიურდება აგვისტოს თვეში, როდესაც ახლოვდება ომის თარიღი (საექსპერტო ინტერვიუ, 16.06.2025). ამასთან, მეხსიერების პოლიტიკის მკვლევარი საუბრობს ომის მეხსიერების სელექციურობაზეც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომემორაციის ადგილები მიძღვნილია გმირების ხსოვნისადმი, თუმცა ძალზედ ცოტაა შემთხვევები, როდესაც ყურადღება მახვილდება ოკუპირებულ ტერიტორიებსა და დევნილებზე (სიღრმისეული ინტერვიუ მეხსიერების პოლიტიკის მკვლევართან, 13.06.2025)

ვინაიდან, ჩვენი კვლევა ეხება საპროტესტო რეპერტუარში აგვისტოს ომის მეხსიერების შესწავლას, ომის ხსოვნის არაინსტიტუციურ ფორმებზე უფრო დაწვრილებით ნაშრომის შემდეგ ნაწილებში ვისაუბრებთ.

თავი III- ომის ხსოვნის გამოყენების სტრატეგიები პროტესტში და მისი სოციალური მნიშვნელობა

2025 წლის 28 ნოემბერს თბილისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. მრავალგზის გადაიკეტა ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ადგილი - რუსთაველის გამზირი. პარალელურად აქციები იმართებოდა რეგიონებშიც - გორში, ზუგდიდში, ქუთაისში, თელავსა და ბათუმში. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა 2028 წლამდე აჩერებდა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობას (რადიო თავისუფლება, 2024). საპროტესტო გამოსვლები სხვადასხვა ფორმით გრძელდება 200-ზე მეტი დღის განმავლობაში. ეს მოძრაობა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია თანამედროვე საქართველოს ისტორიაში და ბუნებრივია, რომ მან გამოიწვია სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური თემატიკის გააქტიურება გარდა პროტესტის ძირითადი ხაზისა. ესენია: რუსული ოკუპაცია, სურსათზე ფასების ზრდა, ჭიათურელი მაღაროელების რთული სამუშაო პირობები და სხვა. გარდა მიმდინარე სოციალური პრობლემებისა, საპროტესტო გამოსვლების აქტიურ ფაზაში ვხედავდით სხვადასხვა ისტორიული მოვლენის მეხსიერების გააქტიურებასაც, როგორებიცაა: პირველი რესპუბლიკის შექმნა (1918 წ.), საბჭოთა წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში (1921 წ.), 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება (1991 წ.), აფხაზეთის ომი და აგვისტოს ომი. ჩვენი კვლევის ფარგლებში, განვიხილავთ საპროტესტო გამოსვლების ქრონიკას 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მარტამდე, ვინაიდან ეს იყო პროტესტის აქტიური ფაზა, ხოლო შემდგომში პროტესტის მონაწილეთა დაკავებამ შეცვალა საპროტესტო გამოსვლების მოთხოვნები და დღემდე ორიენტირებულია დაპატიმრებულთა განთავისუფლების მოთხოვნაზე.

აგვისტოს ომის მეხსიერება ძალზედ ფრაგმენტულია და ვინაიდან პროტესტის განმავლობაში თვალშისაცემი იყო აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურება სხვადასხვა ფორმით, საინტერესოდ მიგვაჩნია, ვისაუბროთ თუ რა ფორმით გააქტიურდა კოლექტიური ტკივილი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესში. საკვლევ პერიოდში საპროტესტო გამოსვლებში აგვისტოს ომის მეხსიერება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა, ესენია: აქცია, მარში, სტენსილი, საპროტესტო ბანერები და ონლაინ კაპმანიები.

3.1. ომის მეხსიერების გამოყენება პროტესტში (შემთხვევათა ანალიზი)

მარში

მარში პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი კოლექტიური ფორმაა. ჩარლზ ტილის მიხედვით, პროტესტის ამ ფორმის გამოყენება ერთგვარ ლეგიტიმაციას აძლევს მოძრაობას. ის ერთ-ერთი ეფექტური გზაა ხალხთა რაოდენობის, ძალისა და მოთხოვნების დემონსტრირებისთვის (Tilly, 2004). მარშებს საპროტესტო გამოსვლების განმავლობაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ის პროტესტის განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. პროტესტის ეს ფორმა საკმაოდ მასშტაბური იყო და ვხვდებით სხვადასხვა შინაარსის მარშებს, როგორებიცაა: საქართველოს რეგიონებიდან მყოფ ხალხთა მარშები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მარშები, სასულიერო პირთა და მათი შვილების მარშები, სხვადასხვა ენის მცდონეთა, სტუდენტური და სხვა. მათგან ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია აგვისტოს ომის გმირის - გიორგი ანწუხელიძის მარში, ვეტერანთა მარში, დევნილთა მარში.

გიორგი ანწუხელიძის[2] მარში 2024 წლის 22 დეკემბერს გმირთა მოედნიდან პარლამენტამდე მოეწყო. ამის შესახებ ინფორმაციას ვკითხულობთ სოციალურ პლატფორმა Facebook-ში შექმნილ საორიენტაციო ჯგუფ "დაიტოვეში" (Facebook, "დაიტოვე"). მარშის თემატიკა მოიცავდა აგვისტოს ომში მებრძოლი საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის ხსოვნას. მარშის განმავლობაში

[2] გიორგი ანწუხელიძე- საქართველოს ეროვნული გმირი, რომელიც მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს ომში.

გამოყენებული იყო პროტესტის სხვა ფორმაც - ბანერები. საპროტესტო ბანერებში, რომლებიც მარშის განმავლობაში გამოიყენებოდა, ხაზი ესმებოდა გმირობას, თავდადებას და რუსეთის მტრის ხატად წარმოჩენას. მაგალითისთვის, ბანერზე დატანილი იყო წარწერა: "ანწუხელიძის სისხლი სამართალს ითხოვს!" (Facebook ჯგუფი "დაიტოვე"). სამართლიანობის თემატიკა აგვისტოს ომის ხსოვნის კონტექსტში მნიშვნელოვნი დეტალია, რადგან ეს მიუთითებს საკითხის გადაუჭრელობაზე და ღიაობაზე. ამ შემთხვევაში, აგვისტოს ომი წარმოდგენილია არა როგორც დასრულებული ისტორიული ფაქტი, არამედ, როგორც ჯერ კიდევ მიმდინარე პოლიტიკური პროცესი, რომელიც სამართლიან კალაპოტს მოითხოვს. ამ შემთხვევაში გიორგი ანწუხელიძის გმირობაზე ხაზგასმა კვებავს პროტესტის მუხტს და სამშობლოს სამსახურის ერთგვარ "ვალდებულებას" აჩენს ადამიანებში. გმირობაზე ხაზგასმა გამოიხატებოდა სხვა წარწერებშიც, მაგალითად, მარშის მთავარ ბანერზე დატანილი იყო შემდეგი სიტყვები: "გმირები თავისუფლებისთვის" (მთავარი არხი, 2024), რაც აჩვენებს გმირების ხსოვნის გააქტიურების მნიშვნელობას. ლოგიკურია, რომ მარშში წარმოდგენილი იყო ბანერები, რომლებიც რუსეთის ფედერაციას მტრის როლში ხატავდნენ. ამდენად, გიორგი ანწუხელიძის მარში არ იყო მხოლოდ ერთი გმირის პატივსაცემი მსვლელობა, ეს იყო ერთდროულად აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურება, სხვა გმირების მნიშვნელობის წარმოჩენა და რუსეთის მტრის ხატად წარმოსახვა.

საინტერესოა, რომ ვეტერანთა მარში და გიორგი ანწუხელიძის მარში გაიმართა ერთდროულად 2024 წლის 22 დეკემბერს ერთი და იგივე ტერიტორიაზე - გმირთა მოედნიდან საკანონმდებლო ორგანომდე. ომის ვეტერანთა მარში ნათლად წარმოაჩენს, რომ აგვისტოს ომი არ არის დიდი ხნის მოვლენა და ის ჯერ კიდევ კომუნიკაციური მეხსიერების ნაწილია. მეხსიერების პოლიტიკის მკვლევარი საექსპერტო ინტერვიუში აღნიშნავს, რომ აგვისტოს ომი კვლევაში განხილული პროტესტის პრიზმიდან არ არის დასრულებული მოვლენა (სიღრმისეული ინტერვიუ მეხსიერების პოლიტიკის მკვლევართან, 13.06.2025), არამედ, ამ მარშის მეშვეობით კიდევ დამტკიცდა, რომ ის ადამიანებში ცოცხლობს და ომის ხსოვნას "მეხსიერების ქორეოგრაფები" ატარებენ ვეტერანთა სახით (Norra, 2011). აღსანიშნავია, რომ ვეტერანთა მარში არ გულისხმობს

მხოლოდ წარსულის გახსენებას, არამედ, ის არის მეხსიერების მობილიზაცია პოლიტიკური დისკურსისთვის, რასაც საზოგადოებაზე უდიდესი გავლენა აქვს, ვინაიდან აგვისტოს ომის ხსოვნა გასულ წლებში არ იყო ასე აქტიური და როდესაც ეს ხდება თავად ომის მონაწილეთა მიერ, იქმნება ერთგვარი "მეხსიერების მოძრავი მემორიალი" (Young, 1993).

მესამე მასშტაბური მარში - დევნილთა მარში 2024 წლის 15 დეკემბერს პირველი რესპუბლიკის მოედნიდან მოეწყო და პარლამენტთან მყოფ აქციის მონაწილეებს შეუერთდა. მარშის დაწყებამდე მათ შეასრულეს საქართველოს ჰიმნი და მარშის მთავარ ბანერზე დატანილი იყო წარწერა "აფხაზეთის დაბრუნება ევროინტეგრაციაშია" (კვირა მედიაჰოლდინგი, 2024). დევნილები ზოგჯერ "ჩრდილში მყოფი" ჯგუფები არიან, რადგან მათი საბინადრო და დანაკარგების კომპენსაციის საკითხები ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. მათი მარში მეხსიერების გააქტიურებაში ჩართული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ვინაიდან ის ქმნის ხილვადობას და ზედაპირზე ამოაქვს მოუგვარებელი საკითხები. ამასთან, ეს მარში მიუთითებს იმაზეც, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ხსოვნა დამოუკიდებლად არ არსებობს ქართულ საზოგადოებაში, არამედ, ის კავშირშია 1992 წლის აფხაზეთის ომთან, ცხინვალის რეგიონის ოკუპაციასთან და სამოქალაქო ომის თემასთან. აქ ჩამოთვლილი ყველა ისტორიულ მოვლენის მთავარი აქტორი არის რუსეთის ფედერაცია და თანაც, ამ ყველა პროცესის მომსწრენი ჯერ კიდევ ცხოვრობენ საქართველოში.

ამრიგად, ჩვენ მიერ აღწერილმა სამივე მარშმა დედაქალაქის მნიშვნელოვანი უბნები და ქუჩები მოიცვა. ამ აქტის მიზანია რაც შეიძლება ხილვადი და მასშტაბური გახდეს მათი შინაარსი და გამოიწვიოს რეზონანსი. მარშების გამოყენება საპროტესტო მოძრაობებში ქმნის ჯეიმს იანგის მიერ აღწერილ "მოძრავ მეხსიერებას", რომელიც აფართოვებს მეხსიერების ადგილებს (Young, 1993). ამასთან, მათ აქვთ იმ მეხსიერების გაზიარების საშუალება, რომელსაც პიერ ნორა აღწერს "ცოცხალ მეხსიერებად" (Mémoire vécue), რაც ამ ადამიანებს მოსმენილი აქვთ თემში, ოჯახში ან ახსოვთ საკუთარი ცხოვრებიდან. ეს ყოველივე კონცენტრირებულია ყოველდღიურ ცხოვრებაში (Norra, 1989). თუმცა, ცოცხალი მეხსიერების დროსთან ერთად გაქრობა ქმნის მეხსიერების ადგილებს და

აგვისტოს ომის მეხსიერება, სწორედ ასე სიმბოლიზდება ვეტერანთა და დევნილთა მარშებში.

აქცია

აქცია საჯარო გამოსვლაა, რომლის მიხედვითაც ადამიანები გამოთქვამენ უკმაყოფილებას ან აცხადებენ სოლიდარობას. ჩარლზ ტილის ნაშრომში ვხვდებით WUNC მოდელს, რომლის მიხედვითაც, აქციის წარმატება იზომება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ღირსეული მონაწილეობა, რომელშიც აქციის მშვიდობიანი ბუნება იგულისხმება (Worthiness);
- ერთობა და გამოკვეთილი სიმბოლიკა (Unity);
- აქციის მონაწილეთა რაოდენობა (Numbers);
- თავდადება ანუ რამდენად უძლებს აქცია წნეხს მმართველი ძალების მხრიდან (Commitment).

შესაბამისად, აქციებს ახასიათებს მრავალი ადამიანის მობილიზაცია, მრავალჯერადობა და მედია დაფარვა, რაც საბოლოოდ პოლიტიკური ზეწოლისა და აქციის რეზონანსულობის საფუძველი ხდება (Tilly, 2004).

2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებში ძირითად პროტესტის ფორმად გამოიყენებოდა საპროტესტო აქციები. ისინი ძირითადად კონცენტრირებული იყო ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარედ, თუმცა იმართებოდა სხვა ლოკაციებზეც, როგორებიცაა: საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა, რეგიონებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტიტუტების შენობები და სხვა. აქციების განმავლობაში გამოყენებული იყო საპროტესტო ბანერები და სიტყვით გამოსვლები. გარდა ძირითადი აქციებისა, აღსანიშნავია 2025 წლის 31 მარტის აქცია სახელწოდებით "ანწუხელიძე უკვდავია" (Facebook ჯგუფი "დაიტოვე"). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გმირების გახსენება პროტესტის განმავლობაში მრავლად ხდებოდა, თუმცა ძირითადი ხაზგასმა აქციებშიც იყო ეროვნულ გმირ გიორგი ანწუხელიძეზე. როგორც ისტორიის

მკვლევარი აღნიშნავს საექსპერტო ინტერვიუში, გიორგი ანწუხელიძის ხსოვნის განსაკუთრებული გააქტიურება პროტესტში არის ერთგვარი რეაქცია ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე (საექსპერტო ინტერვიუ, 16.06.2025). ეს განცხადება "ქართული ოცნების" საპატიო თავმჯდომარემ 2024 წლის 14 სექტემბერს წინასაარჩევნო კამპანიის დროს გააკეთა და ახსენა, რომ "ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ" 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები" (რადიო თავისუფლება, 2024). ისტორიის მკვლევარის თვალსაზრისით, გიორგი ანწუხელიძის ხსოვნის გააქტიურება იყო რეაქცია, რომელშიც გამოიხატა საზოგადოებრივი აზრი აგვისტოს ომის მეხსიერების, მათი აზრით, არასწორი ინტერპრეტაციის გამო. ამავე ამბის გაგრძელებაა ახმეტაში 30 იანვრის საპროტესტო აქცია ახმეტის მერიის შენობის წინ სახელწოდებით: "ომგამოვლილი ბავშვები ბოდიშს არ იხდიან" (Facebook ჯგუფი "დაიტოვე"). ასევე, გორში გამართული აქცია, რომლის ბანერებიდანაც ჩანს, რომ მათი მთავარი მესიჯი იყო შემდეგი: "დაბომბილი გორი ბოდიშს არ იხდის" (Facebook ჯგუფი "დაიტოვე"). ამასთან, გორში გამართულ საპროტესტო აქციაში იკვეთებოდა დაკარგული ტერიტორიების საკითხიც (იხილეთ: სურათი 5). მაგალითისთვის, ბანერზე ვკითხულობთ, რომ "საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებს ოკუპანტი რუსეთი" (Facebook ჯგუფი "დაიტოვე").



სურათი 5. გორში გამართული საპროტესტო აქცია. წყარო: Facebook ჯგუფი "დაიტოვე".

სტენსილები და ონლაინ კამპანიები

სიდნი ტეროუს თანახმად, თანამედროვე ეპოქას ახასიათებს ჰიბრიდული სახის აქტივიზმი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ და სოციალურ აქტივიზმს. თუმცა ონლაინ-აქტივიზმი არა პროტესტის ახალი სახე, არამედ, პროტესტის ახალი ინსტრუმენტია, რომელსაც შედეგი აქვს მხოლოდ ფიზიკურ აქტივიზმთან ერთად (Tarrow, 2011). აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურების შემთხვევებს ვხვდებით კიდევ ორ პროტესტის ფორმაში - სტენსილებსა და ონლაინ-კაპმანიებში.

სტენსილი ვიზუალური გამოსახულება ან ტექსტია, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილეში აცოცხლებს სხვადასხვა ისტორიული პროცესის მეხსიერებას. სტენსილებს, როგორც წესი, სიმბოლური დანიშნულება აქვთ. პიერ ნორას მიხედვით, სტენსილები ქუჩას დროებით მეხსიერების ადგილად აქცევს (Temporary lieu de mémoire) და ჩვენი საკვლევი თემატიკის შემთხვევაში, პროტესტის ადგილების პარალელურად აგვისტოს ომის მეხსიერება ამ "დროებით მეხსიერების ადგილებშიც" გააქტიურდა (Norra, 2011).

სტენსილები თბილისის მრავალ ქუჩაში გაჩნდა, თუმცა, ისინი ძირითადად კონცენტრირებულია დედაქალაქის ცენტრალურ უბნებსა და ხალხმრავალ ადგილებში. სტენსილების უმრავლესობაში გამოსახულია გიორგი ანწუხელიძე და დატანილია სხვადასხვა წარწერა. მაგალითად, "დიდება გმირებს", "არასდროს არ დანებდე, საქართველო", "ბოდიში გმირებს" (Facebook ჯგუფი "დაიტოვე"). აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული "ბოდიშის მოხდის" საკითხი სტენსილების აქტიურ თემატიკად იქცა, რაც ბუნებრივია, რადგან სტენსილები არის მეხსიერების გააქტიურება "ქვემოდან ზემოთ" ანუ ის იმპროვიზირებულია, არ არის ფიქსირებული და ორგანიზებული. პროტესტის ეს ფორმა ასევე მარტივი ინსტრუმენტია დიდ მასებზე ზეგავლენისა და მესიჯის გავრცელებისათვის, რამდენადაც მასში დიდი ძალისხმევის ჩადება საჭირო არაა. მასებზე ზეგავლენა ეხება არა მხოლოდ ფიზიკურ სივრცეს, არამედ, სოციალურ ქსელებსაც, ვინაიდან ონლაინ სივრცეში კამპანიების საფუძველი და ძირითადი ფონი ხდებოდა სტენსილების ფოტოები. ეს პროცესი მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების ფონზე, სწორედ, სტენსილების ონლაინ სივრცეში ცირკულირებით დაიწყო და ამ პროცესს აღწერს ტეროუ თავის ნაშრომში, როდესაც ის ჰიბრიდულ პროტესტზე საუბრობს (Terrow, 2011). ონლაინ-კამპანიები დაიწყო სტენსილების გაჩენასთან ერთად, როგორც რეაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარის ზემოხსენებულ განცხადებაზე (საექსპერტო ინტერვიუ ისტორიის მკვლევართან, 15.06.2025) და მათში ნათლად იყო გადმოცემული საზოგადოებრივი რეაქცია ამ საკითხზე (იხილეთ: სურათი 6).

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აგვისტოს ომის მეხსიერება სტენსილებში ფოკუსირებულია ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის ხსოვნაზე. აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურების კვალდაკვალ ვხვდებით სხვადასხვა ეროვნული გმირის ხსოვნის გააქტიურებასაც, რომლებიც იდენტიფიცირდებიან, როგორც რუსეთის სახელმწიფოს რეჟიმის მსხვერპლნი. მაგალითისთვის, ქალაქ თბილისში თავისუფლების მოედანზე ვხვდებით მასშტაბურ სტენსილს, რომელზეც გიორგი ანწუხელიძესთან ერთად გამოსახულნი არიან მარო მაყაშვილი[3] და ქაქუცა

[3] მარო მაყაშვილი- საქართველოს ეროვნული გმირი. დაიღუპა რუსულ სამხედრო შენაერთებთან ბრძოლაში თბილისის მიმდებარედ.

ჩოლოყაშვილი[4] (იხილეთ: სურათი 6). ცხადია, ასეთი სტენსილების წარწერები ეხება რუსულ ოკუპაციას და არის ერთგვარი მოწოდება მის წინააღმდეგ, მაგალითად წარწერა: "არ შეეგუო ოკუპაციას". მსგავსი შინაარსის კედლის მხატვრობა ქმნის რუსეთის ფედერაციის მტრის ხატს, რაც ზემოთ აღწერილ პროტესტის სხვა ფორმებშიც აშკარად ვლინდებოდა. აღსანიშნავია, რომ იგივე სტენსილზე გიორგი ანწუხელიძის გამოსახულება წაშლილია, რაც ასევე ძალიან ხშირი მოვლენა იყო საპროტესტო გამოსვლების პარალელურად. ქალაქის ქუჩებში მრავლადაა რამდენჯერმე გადაღებილი და განახლებული სტენსილები. როგორც ჯეიმს იანგის ნაშრომში ვკითხულობთ, მეხსიერების არსებობის ერთ-ერთი ფორმაა დაპირისპირებული მეხსიერებები, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ მეხსიერების გააქტიურება ერთგვაროვანი პროცესი არ არის, არამედ ზოგჯერ ის წინააღმდეგობრივია (Young, 1993). განსაკუთრებით, თუკი მეხსიერების გააქტიურების პროცესს მკაფიო პოლიტიკური სარჩული აქვს და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ სხვადასხვა ფორმით იწყებს გააქტიურებას.

[4] ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი- საქართველოს ეროვნული გმირი, ქართველი სამხედრო მოღვაწე. ხელმძღვანელობდა ბრძოლებს საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ.

სურათი 6. სტენსილი ქალაქ თბილისში. წყარო: ავტორის მიერ.

3.2. ომის ხსოვნის სელექციური გამოყენება და მისი პოლიტიკური განზომილებები

აგვისტოს ომის მეხსიერება არ არის მხოლოდ კოლექტიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული სოციალური განცდები. ომი წმინდად პოლიტიკური მოვლენაა, რომელსაც წანამძღვრებად აქვს პოლიტიკური პროცესები და მისწრაფებები. 2008 წლის აგვისტოს ომმა გააგრძელა რუსული იმპერიალიზმი საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს დაიწყო. თუმცა აგვისტოს ომი ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში განუყოფლადაა დაკავშირებული აფხაზეთის ომთან და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციასთან. ეს სამი მოვლენა, როგორც ისტორიის ექსპერტი შენიშნავს ჩვენთან ინტერვიუში, ქართველი ხალხის მეხსიერებაში განუყოფელ მოვლენად არსებობს, ვინაიდან ქართველი ხალხი იდგა და დგას ერთი მტრის წინაშე და ეს არის

რუსეთის ფედერაცია (სიღრმისეული ინტერვიუ ისტორიის მკვლევართან, 16.06.2025). მიუხედავად იმისა, რომ ომს ჰქონდა მრავალი შედეგი, ომის მეხსიერების გააქტიურება საპროტესტო გამოსვლებში კონცენტრირებულია გმირებზე და განსაკუთრებით, გიორგი ანწუხელიძეზე. ამავე დროს, სტენსილებსა თუ ბანერებზე ნაკლებად ვხვდებით აქცენტს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და დევნილ მოსახლეობაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ომის ტრავმის სოციალური განზომილებები ნაკლებად ექცევა ყურადღების ცენტრში. როგორც ისტორიის მკვლევარი ხსნის ჩვენთან ინტერვიუში, ეს აიხსნება გმირებზე ყურადღების გამახვილების რეზონანსული ბუნებით. მაშასადამე, აგვისტოს ომის მეხსიერება პროტესტში სელექციურია და ფოკუსირებულია გმირებზე. ეს ბუნებრივია, რადგან პიერ ნორას მიხედვით, მეხსიერება ამით განსხვავდება ისტორიისაგან, რომ მას ახასიათებს სელექციურობა კონკრეტული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით (Norra, 2011).

ამასთან, როგორც ზემოთ განვიხილეთ, აგვისტოს ომის თემატიკისადმი მიძღვნილი სტენსილების მიზანმიმართული დაზიანება ქმნის ერთგვარ პოლიტიკური ნარატივების დაპირისპირებას, ვინაიდან ომის მეხსიერება არ ფორმირდება მხოლოდ ერთი ჯგუფის მიერ და გამოიყენება სხვადასხვა ინტერპრეტაციები, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. გიორგი ანწუხელიძის სტენსილების შექმნისა და ამ თემაზე ონლაინ-კამპანიების დაწყების საფუძველიც პოლიტიკური მოტივი გახდა "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო კამპანიიდან, რაც უკვე განვიხილეთ. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის ფორმებში ომის მეხსიერების გააქტიურება მასების მიერ მართული პროცესია, ეს ომის უბრალო დამახსოვრების მცდელობა არაა. ეს არის ინსტრუმენტი, რომლითაც პროტესტის მონაწილეები ცდილობენ რუსეთის ფედერაციის იმპერიალისტურ პოლიტიკასთან ბრძოლას, რაც ასევე გამოხატავს ომის ხსოვნის გააქტიურების პოლიტიკურ განზომილებას.

დასკვნა

2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებში აგვისტოს ომის მეხსიერება გააქტიურდა პროტესტის შემდეგ ფორმებში: აქცია, მარში, ბანერები და ონლაინ-კამპანიები, რაც ჩვენი კვლევის დაშვებაში იყო წარმოდგენილი. ეს ფორმები არსობრივად და მასშტაბით განსხვავდება ომის დამახსოვრების მანამდე გამოყენებული არაინსტიტუციური ფორმებისაგან. მორის ჰალბვაქსის მიხედვით, კოლექტიური მეხსიერება თაობების განმავლობაში ინტერპრეტირდება, რაც იწვევს ომის დამახსოვრების ახალი ფორმების შექმნას საზოგადოებაში (Halbwachs, 1992), თუმცა ეს აპრიორულად არ გულისხმობს ომის ქრონიკების ხელახალ გააზრებას. ამასთან, ეს არ არის ომის მეხსიერების გააქტიურების ბუნებრივი პროცესი ომის თარიღის მოახლოვების გამო, არამედ, პროტესტის ამ ფორმებს საფუძვლად უდევს ისეთი პოლიტიკური პროცესი, როგორიცაა რუსეთის რესპუბლიკის პერმანენტული მცდელობა ჩაერიოს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ პროცესებში. როგორც მორის ჰალბვაქსი წერს, ომის მეხსიერების გარშემო ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესი საკმაოდ გავრცელებული ფენომენია, ვინაიდან მტრის ხატის შექმნა იწვევს საზოგადოების მობილიზაციას ეროვნული ღირსების გარშემო (Halbwachs, 1992). როგორც დაშვებაში ვივარაუდეთ, რუსეთის მტრის ხატი ააქტიურებს აგვისტოს ომის ხსოვნას აფხაზეთის ომის ხსოვნასთან ერთად. ეს ნიუანსი საპროტესტო აქციების მსვლელობისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან მათ სძენს ერთგვარ მუხტს და მონაწილეებს მოუწოდებს სამშობლოს სამსახურისკენ.

მნიშვნელოვანია, რომ აგვისტოს ომის მეხსიერება საპროტესტო გამოსვლებამდე ძალზედ ფრაგმენტული იყო და გამოირჩეოდა სელექციურობის მაღალი ხარისხით. ის აქტიურდებოდა მხოლოდ ზაფხულში ომის თარიღის მოახლოვებისას. ომის კომემორაციის მთავარი ფორმები იყო ძმათა სასაფლაოებსა და მონუმენტებთან მაღალჩინოსანთა მისვლა და მათი ყვავილებით შემკობა. ნაკლებად ეხებოდნენ ისეთ

საკითხებს, როგორებიცაა ომის სოციალური საკითხები, დევნილობა, ოკუპირებული ტერიტორიები, სამოქალაქო დანაკარგები და სხვა. ეს ტენდენცია გრძელდება საპროტესტო გამოსვლების პერიოდშიც, რამდენადაც ომის მეხსიერება აქაც კონცენტრირებულია გმირებზე (განსაკუთრებით, გიორგი ანწუხელიძეზე), თუმცა, პროტესტის განმავლობაში მოეწყო ვეტერანთა და დევნილთა მარშები. ეს მარშები მოიცავდნენ არა მხოლოდ აგვისტოს, არამედ აფხაზეთის ომის მონაწილეებსა და დევნილებსაც, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ 2008 წლის ომის მეხსიერება დამოუკიდებლად არ არსებობს კოლექტიურ ხსოვნაში. ამ მარშებმა შეძლო წინ წამოეწია ისეთი მარგინალიზებული ჯგუფები, როგორებიც არიან ვეტერანები და დევნილები. ასევე, გამოიწვია იმაზე ხაზგასმა, რომ აგვისტოს ომი არ განიხილება, როგორც დასრულებული ისტორიული მოვლენა, არამედ, როგორც ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესი. ეს კარგად ჩანდა საპოტესტო ბანერებშიც, რომლებიც ითხოვდნენ ამ პროცესის სამართლიანად და ღირსეულად დასრულებას მომავალში.

რაც შეეხება მეხსიერების გააქტიურების პოლიტიკურ განზომილებებს, კვლევის პროცესში ჩატარებულმა საექსპერტო ინტერვიუებმა ისტორიისა და მეხსიერების პოლიტიკის მკვლევარებთან დაადასტურა, რომ 2024 წლის სექტემბერში “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო კამპანიისას გაკეთებული განცხადება აფხაზებისა და ოსებისათვის ბოდიშის მოხდის შესახებ საფუძვლად დაედო 2008 წლის ომის გმირების ხსოვნის წინა პლანზე წამოწევას. სწორედ, ამ განცხადებაზე რეაქციად გვევლინება ონლაინ-კამპანიები და მარშები, რომელთა სახელმწოდებებშიც ჩანს ეს რეაქცია. მაგალითად, “ომგამოვლილი ბავშვები ბოდიშს არ იხდიან” (ახმეტა), “დაბომბილი გორი ბოდიშს არ იხდის” (გორი). მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურება “ქვემოდან” წარმართული პროცესი იყო, პროტესტის ფორმებში აშკარად გამოჩნდა პროტესტის პოლიტიკური განზომილებები.

ბიბლიოგრაფია

გაჩეჩილაძე, რ. (2025). საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დევნილები რესპუბლიკის მოედნიდან პარლამენტის შენობისკენ მსვლელობას გეგმავენ. (2024). კვირა მედიაჰოლდინგი. https://kvira.ge/980132

ეურონიუსი. (2023). შინდისის ბრძოლიდან 15 წელი გავიდა. https://euronewsgeorgia.com/2023/08/11/shondisis-brzolidan-15-taeli-gavida/

ინტერპრესნიუსი. (2024). „გმირთა მოედანზე ვეტერანთა მარში და მსვლელობა სახელწოდებით „ანწუხელიძე“ მიმდინარეობს.“https://www.interpressnews.ge/ka/article/825735-gmirta-moedanze-veteranta-marshi-

ონ.გე. (2025). შელახულია 2008 წლის ომის გმირის, ოფიცერ გიორგი ანწუხელიძის ღირსება. https://on.ge/story/126423

რადიო თავისუფლება. (2024). პროევროპული საპროტესტო აქცია თბილისში. https://www.radiotavisupleba.ge/a/33220826.html

რადიო თავისუფლება. (2023). 15 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებიდან. https://www.radiotavisupleba.ge/a/32537184.html

სააკაშვილი, მ. (2010, 26 მაისი). საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვა მემორიალის “ერთიანი საქართველოსთვის” გახსნაზე. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. https://ghn.ge/news/15634

საზოგადოებრივი მაუწყებელი. (2018). მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო. https://1tv.ge/news/dzmata-sasaflaoze-gmirebis-khsovnas-pativi-miages-foto

ტაბულა. (2024). „უკვდავების გადაძახილი“ – 26 სექტემბერს აფხაზთა კრება გმირთა მემორიალთან აქციას გამართავს. https://tabula.ge/ge/news/723384-ukvdavebis-gadadzakhili-26-sektembers-apkhazta

ქარაია, თ. (2015). საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩიქოვანი, ნ., კაკიტელაშვილი, ქ., & ჩხაიძე, ი. (2022). საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. თბილისი.

ჰარლინი, რ. (რეჟისორი). (2011). აგვისტოს 5 დღე [ფილმი]. Georgia Film Fund.

Anderson, B. (1983). Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism. Verso;

Assmann, A. (2009). Memory, Individual and Collective. The Oxford Handbook of Contextual Political. Oxford University Press;

Assmann, A. (2008). Transformations between History and Memory. Social Research;

Bucharest Summit Declaration. (2008). North Atlantic Treaty Organisation, 049;

Caldicott, S. (2014). Memory and Oblivion in the English-Speaking World. Routledge;

2008 Country Reports on Human Rights Practices. (2009). Bureau of Democracy, Human Rights and Labor. United States Department of State.Global Law and Policy Database;

Fuchs, C. (2014). Social Media: A Critical Introduction. Sage Publications;

Halbwachs, M. (1992). On Collective Memory. University of Chicago Press;

Mosse, G. L. (1990). Fallen Soldiers: Reshaping the Memory of the World Wars. Oxford University Press;

Nora, P. (1989). "Between Memory and History" Special Issue: Memory and Counter-Memory (Spring, 1989), pp. 7-24. University of California Press;

Nora, P. (1992). Introduction to Realms of Memory. In E.-l. e. Cold hammer., Volume III. The Construction of the French Past. Realms of Memory. New York: Columbia University Press;

Olick, J. K. (2007). The Politics of Regret: On Collective Memory and Historical Responsibility. Routledge;

Olick, J. K., & Robbins, J. (1998). Social memory studies: From "collective memory" to the historical sociology of mnemonic practices. Annual Review of Sociology;

Roediger, H. L., III, & Wertsch, J. V. (2008). Creating a new discipline of memory studies. Memory Studies;

Rigney, A. (2018). The Dynamics of Memory Activism: Forms of Engagement in Contemporary Europe. Berghahn Books;

Tarrow, S. (2011). Power in Movement: Social Movements and Contentious Politics (3rd ed.). Cambridge University Press;

Taylor, C. (1994). Multiculturalism: Examining the Politics of Recognition. Princeton University Press;

Tilly, C. (2004). Social Movements, 1768–2004. Paradigm Publishers;

Werstch, J., Karumidze, Z., (2009). Spinning the past: Russian and Georgian accounts of the war of August 2008. Memory Studies;

West, B. (1983). Street Art and Political Protest. Journal of Social Movements;

Young, J. E. (1993). The Texture of Memory: Holocaust Memorials and Meaning. Yale University Press;

დანართი 1. კონტენტ-ანალიზის ჩარჩო

#		მედია		პროტესტის ფორმა				კონტენტის ტიპი				ციტატა		
N	თარიღი	სოციალური ქსელი	ონლაინ-მედია	მარში	აქცია	სტენსილი	ონლაინ-კამპანია	პოსტი	ფოტო	ვიდეო	სტატია	პოსტიდან	სტატიიდან	ვიდეოდან
1		X					X	X				“-”		
2			X	X							X		“-”	

დანართი 2. სიღრმისეული ინტერვიუს კოდების სისტემა

კატეგორია	კოდი	მნიშვნელობა	ავტორი
1. აგვისტოს ომის ხსოვნა	1.1. ომის ხსოვნის ფორმები		
	1.2. რუსეთის ადგილი ომის ხსოვნაში		
	1.3. ხსოვნის პოლიტიზირება		
2. პროტესტის რეპერტუარი და მობილიზაცია	2.1. პროტესტის ფორმები		
	2.2. ომის ხსოვნის როლი მობილიზებაში		
	2.3. გააზრება და გადაფასება		
3. ნარატივები	3.1. გმირობის ნარატივი		
	3.2. მსხვერპლის როლი		
	3.3. რუსეთის მტრის ხატი		
	3.4. ხსოვნის პოლიტიზირება		
4. ემოციური პოზიციონირება	4.1. თავგანწირვა და ერთობა		
	4.2. ქვეყნის სამსახური		

დანართი 3. სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი ექსპერტებთან

1. როგორ შეაფასებდით აგვისტოს ომის მეხსიერების როლს პროტესტის ფორმირებაში 2024 წლიდან დღემდე?

2. გაქვთ თუ არა მეხსიერებაში პროტესტის ის ფორმები ან ეპიზოდები, რომლებშიც აგვისტოს ომის სიმბოლიკა მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული?

3. თქვენი შეფასებით, როგორია საზოგადოების უკუკავშირი, როდესაც პროტესტში გამოიყენება აგვისტოს ომის თემატიკა?

4. თვლით თუ არა, რომ აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურება ემსახურება კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს თუ ეს არის კოლექტიური ტკივილის გამოხატულება?

5. არსებობს თუ არა აგვისტოს ომის მეხსიერების ინსტრუმენტიზაცია პროტესტში კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის მიერ? თუ კი- როგორ ვლინდება ის?

6. როგორ ფიქრობთ, რა ახსნა აქვს იმ ფაქტს, რომ აგვისტოს ომის მეხსიერება გააქტიურდა 2024 წლის აქციების შემდეგ?

7. შენიშნეთ თუ არა განსხვავებები, როგორ იყენებენ აგვისტოს ომის თემატიკას პროტესტში სხვადასხვა თაობის ადამიანები? სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლები?

8. როგორ უკავშირდება აგვისტოს ომის მეხსიერების გააქტიურება საქართველოში რუსეთის პოლიტიკისადმი ანტაგონიზმს?